შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის წლიური ანგარიში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) 2023 წლის სამუშაოს განხორციელებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის რომ კოლეჯმა მოიპოვა ექვს წლიანი უპირობო ავტორიზაცია.

კოლეჯის საქმიანობიდან რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. კოლეჯის პროგრამები:

კოლეჯში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო), ვეტერინარია და დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი). პროგრამების განხორციელების საკითხებში ჩართული იყო კოლეჯის ყველა თანამშრომელი. მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა პროგრამებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების კონსულტირება, იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მოდულების განხორციელებისათვის საჭირო აქტივობები, დგებოდა კალენდარული გეგმები, ანალიზდებოდა საჭირო სასწავლო რესურსი, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.

კოლეჯის საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაზრის კვლევის საფუძველზე მოხდა კვოტის გაზრდა და შესაბამისად, დაემატა პრქტიკის ობიექტები. ასევე, ვეტერინარიის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოვების მიზნით მოხდა პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და გაფორმდა ხელშეკრულებები. წლის განმავლობაში ჩატარდა ვეტერინარიის და საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდები.

განხორციელდა საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის 2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მოდულის ფარმაკოლოგია შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური ვერიფიკაცია და საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის 2022 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მოდულის კომუნიკაცია საექთნო საქმეში შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური ვერიფიკაცია. 2023 წლის განმავლობაში ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილება მიიღო და დაესწრო ტერენინგებს (ცოფი როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება სწავლების პროცესში, praqtikal uses for ultrasound in managing cattle reproduqtion), სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები,

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი, კლიმატური ცვლილებების გავლენა მეცხოველეობაზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში.

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ 2023 განმავლობაში ერთი პროფესიული სტუდენტი იმყოფებოდა დმანისის მუნიციპალიტეტში შვეიცარულ მეცხოველეობის ფერმაში და რძის გადამამუშავებელ საწარმოში სტაჟირებაზე.

2023 წელს მოხდა მოდულებზე ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია, ვეტერინარი ქირურგის ასისტირება, პირველადი ვეტერინარული გადაუდებელი დახმარება, შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა პროფესიული განათლების მასწავლებლის აყვანა ღია კონკურსის წესით.

2023 წელს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილება და განხორციელდა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებული ინვენტარის ინვენტარიზაცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაციაზე (სააფთიაქო) განხორციელდა მონიტორინგი მოდულებზე: ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები, უცხო ენა. ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დანერგილი და განსაზღვრულია შეფასებასთან ერთად, განმავითარებელი შეფასებები და სხვადასხვა აქტივობები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესების მიზნით მაისის და სექტემბრის თვეში ჩატარდა არსებული რესურსის გადამოწმება-მონიტორინგი.

მსოფლიოში 5 მაისი აღინიშნება როგორც ხელის ჰიგიენის საერთაშორისო დღე, რასთან დაკავშირებით, მოდულის ინფექციის კონტროლის საფუძვლების ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება ხელის ჰიგიენის მნიშვნელობა და ხელის დაბანის 5 მომენტის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისთვის სადაც პროფესიული სტუდენტებმა წარმოადგინეს ნაზოკომური ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების წესები. ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოლეჯში მოდულის კომუნიკაცია საექთნო საქმეში ჩატარდა ღონისძიება ექთნის როლი საექთნო საქმეში და კომუნიკაციის მნიშვნელობა პაციენტთან ურთიერთობისას ღონისძიებაში მონაწილეობდენენ 2022 ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, წარმოადგინეს პრეზენტაციები. კოლეჯი სტუმრად იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალში, შ.პ.ს. გორმედში და შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელოის ცენტრში, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა მიულოცეს პრაქტიკის ინსტრუქტორებს პროფესიული დღე და გადასცეს მადლობის სიგელები.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებოდა ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს.

საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრს, ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებასა და კოლეჯს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა ტრენინგების ციკლი, ტრენინგს ესწრებოდნენ კურსადმთავრებულები და ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის

ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრის ბაზაზე, შემდგომში შინა მოვლის მიმართულებით დასაქმებით.

1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა და კოლეჯის საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებთან ერთად ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლები ეწვივნენ საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრის დღის ბენეფიციალებს. მიულოცეს ტკბილეულით და საჭირო ჰიგიენის ნივთებით. ხანდაზმულებთან ერთად ერთი ლამაზი და დასამახსოვრებელი დღე იყო ააიპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა და დღემდე აქტიურად მუშაობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ჰუმანიტარული, სოციალური, ჯანმრთელობისა და განვითარების სფეროში.

პროფესიიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების 18 პროფესიულმა სტუდენტმა გაიარა ჰოსპისი ფერისცვალების მიერ ჩატარებულ ევროპული სტანდარტისა და კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებების გათვალისწინებით. შედგენილ ონლაინ ტრენინგს "მოავადის ჭრილობის მართვა" და დემენციის მქონე ხანდაზმულთა მოვლის ტრენინგები.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ კომპანია „ჰუმანას“ წარმომადგენელს. პროფესიული სტუდენტები დაინტერესდნენ კომპანიაში დასაქმების პერსპექტივებს და ასევე გაეცნენ კომპანია ჰუმანას პროდუქციას. ჩატარდა ტრენინგი: „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“ და „ფარმაკოლოგიის ბაზისური პრინციპების განმარტება“ ტრენინგს ესწრებოდა პრაქტიკის ინსტრუქტორი.

ყოველკვირეულად ხდებოდა სასწავლო განრიგის ცხრილების შექმნა/ხელმისაწვდომობა ყველასათვის, სასწავლო ცხრილების შედგენა სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა საგანმანათლებლო პროგრამებზე. ხდებოდა სასწავლო განრიგის (ცხრილის) განთავსება საინფორმაციო დაფაზე და მისი გავრცელება facebook - დახურულ ჯგუფებში. ხდებოდა სასწავლო პროცესის კოორდინაციის გაწევა, რათა ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. შემოწმებოდადა ხდებოდა კონტროლის და დახმარების გაწევა, პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისათვის. მიმდინარეობდა პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის შესაბამისი სივრცეების გამოყოფა, სასწავლო პროცესზე დასწრება და მონიტორინგი, ასევე კონტროლი და შემოწმება პროფესიული განათლების მასწავლებლების დასწრების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებლების გაკვეთილზე დაგვიანებაზე/გაცდენაზე რეაგირება.

ხდებოდა პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების ცალკე საქმედ შენახვა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებების შესაბამისობის კონტროლი მოდულის შედეგების შესაბამისად, შეფასების უწყისების შედგენის პროცედურის კონტროლი და პროფესიული განათლების მასწავლებლების საანგარიშო ფორმების გაკონტროლება, კალენდარული გეგმებისა და მოდულის დაწყება დასრულების პერიოდების განსაზღვრა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირება მოდულის დაწყება - დასრულებასა და განმეორებით გამოცდაზე.

პრაქტიკული კომპონენტის დაწყების წინ ხდებოდა პრაქტიკის ობიექტზე დასწრების ჟურნალის გამზადება სასწავლო პროცესის სპეციალისტთან ერთად, პრაქტიკის დაწყებამდე ინსტრუქტორებთან

შეხვედრა, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შემდეგ უკვე პრაქტიკის ობიექზე პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი.

ხდებოდა პროფესიულ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ინტენსიურად მონაწილეობის მიღება, როგორც პროფესიული უნარ - ჩვევების განვითარების კუთხით სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ კომპანიების მხრიდან ჩატარებულ ტრენინგებსა თუ ღონისძიებებში, ასევე იმ უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა როგორიცაა: ტრანსფერული უნარები,მოტივაციის ამაღლება, კომუნიკაცია და სხვა.

2. ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯის ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე.

ხარისხის მენეჯერის ზედამხედველობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

შიდა ხარისხის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება ხორციელდებოდა შიდა და გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებით, 2023 წელს ხარისხის მენეჯერის მიერ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით გაიწერა (დირექტორის ბრძანება № 00000239/16/01/2023) სამი ძირითადი მიზანი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ თვითშეფასების წარდგენა ცენტრში (გარე შეფასება), ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება) და ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება).

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებდა: გარე შეფასებას - ავტორიზაციისა პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ამაგს ავტორიზაციის ვადას წარმოადგენდა 2024 წლის იანვარი. ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით გაიწერა ავტორიზაციის პროცესისათვის გასატარებელი ღონისძიებები: პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეკრულებების გადახედვა მონიტორინგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციების მონიტორინგი, 2023 წლის 7 ივნისს ხარისხის მენეჯერის წარდგინებით (სამს.ბარათი№ 00005564) , სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარდგენა ავტორიზაციის მიზნით საავტორიზაციო განაცხადი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს MES 2 23 0000949794 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 2023 წლის 6, 7 და 8 სექტემბერს. გეგმის თანახმად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტების დასკვნის შედეგად კოლეჯმა მიიღო შეფასება არც ერთ სტანდარტში შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს არ გამოუვლინდა ხარვეზი და შეფასდა დადებითად. თითოეული სტადარტი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ

ავტორიზაციის სტანდარტს. კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კოლეჯის მიერ მყისიერად განხორციელდა რეაგირება კერძოდ:

1. 1.2.1.3 განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს შესრულების ინდიკატორების ფორმულირების დროს გავითვალისწინოთ, რომ შესრულების ინდიკატორი მაგ. არ შეიძლება იყოს მხოლოდ ჩატარებული ტრენინგი, არამედ ის, თუ რა შედეგი დადგება სამოქმედო გეგმაში მითითებული ამოცანის შესრულების შემთხვევაში, თუნდაც ტრენინგის დასრულების შემდგომ, გათვალისწინებულ იქნება კოლეჯის მიერ შემდგომ მუშაობაში;

2. 3.1.1.5. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლით და წარმოდგენილი პაკეტებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, რასაც ხელმოწერით ადასტურებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-18 მუხლით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ჩაერთოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში,

თავად მუხლი 31, რომლითაც რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და რომელშიც გაწერილია შესაბამისი პროცედურები, არაფერია ნათქვამი პროფესიული სტუდენტის ჩართულობაზე. შესაბამისად, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის 31 მუხლშიც ასახოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობის უფლებამოსილების საკითხი, გათვალისწინებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით.

3. 3.2.1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს შემდეგს: გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჰყავს ერთი დირექტორი, ბუნდოვანია ჩანაწერი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლის, მე-5 ქვეპუნქტში - ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე დირექტორის სახელზე. სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს აღნიშნული ჩანაწერი, გათვალისწინებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით

4. 4.1.1.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განათლებასთან ერთად მოთხოვნილ შესაბამისი სერტიფიკატის დაზუსტებას, თუ რა იგულისხმება შესაბამის სერტიფიკატში, კონკრეტულად რა მოთხოვნა აქვს და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამ ნაწილში ჩანაწერი გახადოს კონკრეტული და გასაგები, გათვალისწინებული იქნება კოლეჯის შემდგომ მუშაობაში;

5. 4.1.2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს შემდეგს: სასურველია, დაწესებულებამ უკეთ გაიაზროს აპლიკანტთა კომპეტენციების შეფასებისათვის შემუშავებული კითხვები, მათი უფრო ობიექტურად შეფასების მიზნით, გათვალისწინებული იქნება კოლეჯის შემდგომ მუშაობაში.

რაც შეეხება შიდა შეფასებას - კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ორი მიმართულებით: ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგი და ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი.

ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგის დროს დაისახა ოთხი ამოცანა რომლის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განხორციელდა შესაბამისი დროის და ვადის დაცვით. სტრატეგიული დაგეგმვა და მონიტორინგის დროს განხორციელდა:

ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული გეგმის რევიზია.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ფარგლებში განხორციელდა:

პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მაისის თვეში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვლევა მაისის თვეში, კურსდამთავრებულების კვლევა მაისის თვეში, ანგარიშმა დამსაქმებელთა კვლევის ორგანიზების შესახებ გამოავლინა ახალი პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავების საჭიროება. კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გაიცა რეკომენდაციები.

განხორციელდა: პროფესიული პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) ვერიფიკაცია მარტსა და ოქტომბრის თვეში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიის ვერიფიკაცია მარტსა და ოქტომბრის თვეში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დენტალური საქმის ასისტირენტის (სტომატოლოგის ასისტენტი) ვერიფიკაცია მაისსა და ნოემბრის თვეში.

სასწავლო პროცესის ორგანიზების მხრივ:

კალენდარული გეგმის მონიტორინგი --- ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა ივნისის თვეში და გამოვლინდა შედეგები, მეცადინეობებზე დასწრება და შეფასება--მარტი, ივნისი და ოქტომბრის თვეში განხორციელდა მეცადინეობებზე დასწრება, კერძოდ 2022 წლის ჩარიცხულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების მოდული ბიოქიმია პროფესიული განათლების მასწავლებლები მარინა ქურიძე და ლელა მწარიაშვილი.

2022 წლის ჩარიცხულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) მოდული უცხოური ენა პროფესიული განათლების მასწავლებლები ანა ბერკაცაშვილი, ანა ქოთოლაშვილი.

2022 წლის ჩარიცხულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ვეტერინარიის მოდული ტოქსიკოლოგია პროფესიული განათლების მასწავლებელი მარიამ ხარებაშვილი.

გახარჯული მასალა ნედლეულის მონიტორინგი და ანგარიშგება-- ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა გახარჯული მასალა ნედლეულის მონიტორინგი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში მასალა ნედლეულის შეძენა და გახარჯვა ხორციელდება მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ინდივიდუალური გეგმების განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება--ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა ივნისის თვეში. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის მონიტორინგი-- ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა ოქტომბრის თვეში.

ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი:

რეესტრის წარმოება-- აპრილისა და ნოემბრის თვეებში ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა რეესტრის წარმოების მონიტორინგი.

საბიბლიოთეკო სერვისები: საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი და სრულყოფა--მაისის თვეში განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგს სასწავლო რესურსის სრულყოფის მიზნით. მონიტორინგი

განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ფინანსური რესურსის მართვა: აგვისტოს თვეში განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ფარმაცია (სააფიაქო) ვეტერინარიის საექთნო განათლების დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) ფინანსური ანგარიშგების შეფასება, გაიწერა ციკლური ბიუჯეტი.

ადამიანური რესურსების მართვა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვების მონიტორინგი --- სექტემბრის თვეში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვების მონიტორინგი.

პერსონალის სამუშაო აღწერილობების გადახედვა პროფესიული სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამისობაში მოყვანა--იანვრისა და თებერვლის თვეში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა პერსონალის სამუშაო აღწერილობების გადახედვა პროფესიული სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

მატერიალური რესურსის მართვა: სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის მატერიალური რესურსის მონიტორინგი მაისისა და სექტემბრის თვეში განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის მატერიალური რესურსის მონიტორინგი.

უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა: ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა კოლეჯის შენობაში სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხო სასწავლო გარემოს მონიტორინგი და ხელშეკრულების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხო სასწავლო გარემოს არსებობის შექმნის მიზნით შეთანხმებათა მონიტორინგი.

საზოგადოებასთან ურთიერთობები: ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური გვერდის მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა): მაისის თვეში განხორციელდა ხარისხის მენეჯერის მიერ საქმისწარმოების წესის შესრულების მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება: ივნისის თვეში ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა პროფესიული სტუდენტების დამსაქმებელთა შეხვედრებისა და კურს დამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მონიტორინგირომელიც განხორციელდა 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

3. პერსონალი

2023 წლის 14 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება სწავლების პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოელჯი ამაგის პროფესიული განათლების 20-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის IT მენეჯერმა გიორგი

საზანდრიშვილმა. სულ ჩატარდა 3 ტრენინგი (ხანგრძლივობა - 6 საათი). ტრენინგების დასრულების შემდეგ გამოკითხული იქნა ტრენინგის მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლები, იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის. გამოკითხულთა 90%-მა აღნიშნა, რომ ტრენინგი იყო ინფორმატიული, ხოლო გამოკითხულთა 10%, თვლის, რომ ტრენინგი იყო ნაწილობრივ ინფორმატიული მათვის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 14 მარტს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა ვეტერინარიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე "ცოფი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - ლაშა ავალიანმა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პრაქტიკის ინსტრუქტორებმა. გაიცა ათივე მონაწილისათვის სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 21 მარტს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებაში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების 22 -მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მოწვეულმა ტრენერმა თამარ რემიშვილმა. (ხანგრძლივობა - 2 საათი). ტრენინგების დასრულების შემდეგ გამოკითხული იქნა ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები, იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის. გამოკითხულთა 96.2%-მა აღნიშნა, რომ ტრენინგი იყო ინფორმატიული, ხოლო გამოკითხულთა 3,8%, თვლის, რომ ტრენინგი იყო ნაწილობრივ ინფორმატიული მათთვის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 23 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგების ციკლი (სულ 8 შეხვედრა, 16 საათი), რომლის სახელწოდებაც იყო „საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში“. ტრენინგი განკუთვნილი იყო პროფესიული განათლების იმ მასწავლებლებისათვის, რომელთაც ჰქონდათ კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროება. სულ თხუთმეტმა პროფესიულმა განათლების მასწავლებელმა გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი. ტრენინგების დასრულების შემდეგ, ჩემს მიერ მოხდა მონაწილეებისაგან უკუკავშირის მიღება ელექტრონული კითხვარის მეშვეობით. პროფესიული განათლების თხუთმეტივე პროფესიული განათლების მასწავლებელს დაეგზავნა Google forms ის ელექტრონული კითხვარი და ეთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. კითხვარი შედგებოდა სულ 4 შეკითხვისაგან და ეთხოვათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება.

პირველი კითხვის საშუალებით გამოიკვეთა, რომ მონაწილეთა 6.7% დაესწრო მხოლოდ 1-2 ტრენინგს. 20% დაესწრო 3-4 ტრენინგს, 53.3% დაესწრო 5-6 ტრენინგს, ხოლო 7-8 ტრენინგი გაიარა ასევე 20%-მა.

მეორე კითხვაზე ტრენინგის მონაწილეთა 53.3%-მა აღნიშნა, რომ ტრენინგი იყო ძალიან სასარგებლო. 46.7% თვლის, რომ ტრენინგი იყო მისთვის სასარგებლო.

ტრენინგის მონაწილეების 60%-ს ყველაზე მეტად მოეწონა ტრენინგის თემატიკა, ხოლო 40%-ს - ტრენერის მეთოდები და მიდგომები.

კითხვაზე, რა მოეწონათ ყველაზე ნაკლებად, გამოიკვეთა, რომ 69.2%-ს ყველაზე ნაკლებად მოეწონა ტრენინგის ხანგრძლივობა. ხმები თანაბრად გაიყო (15.4%-15.4%) ტრენინგის თემატიკასა და ტრენერის მეთოდებს/მიდგომებს შორის.

კითხვარის დასასრულს მონაწილეებს ეთხოვათ საკუთარი აზრის დაფიქსირება. მათ დადებითად შეაფასეს ტრენინგი და კმაყოფილება გამოთქვეს როგორც კოლეჯის, ასევე ტრენერის მიმართ. გაიცა სახელობითი სერტიფიკატები ტრენინგის მონაწილეებზე.

2023 წლის 08 აპრილს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პროფესიული განათლების 24-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში მოწვეულმა ტრენერმა მანანა მახარაშვილმა. (ტრენინგის ხანგრძლივობა - 3 საათი).

ტრენინგების დასრულების შემდეგ, უკუკავშირის მიზნით, გამოკითხული იქნა ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მონაწილემ. კითხვაზე იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის, გამოკითხული მასწავლებლებიდან 87.5%-მა უპასუხა, რომ ტრენინგი იყო ინფორმატიული, ხოლო გამოკითხულთა 12,5%, ჩათვალა, რომ ტრენინგი იყო ნაწილობრივ ინფორმატიული. მონაწილეებზე გაიცა ორენოვანი სერტიფიკატები.

2023 წლის 08 აპრილს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის ადმინისტრაციის 17-მა თანამშრომელმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში მოწვეულმა ტრენერმა მანანა მახარაშვილმა. (ტრენინგის ხანგრძლივობა - 3 საათი).

ტრენინგების დასრულების შემდეგ, უკუკავშირის მიზნით, გამოკითხული იქნა ტრენინგის მონაწილე ადმინისტრაციის თანამშრომლები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მონაწილემ. კითხვაზე იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა 76.5% უპასუხა, რომ ტრენინგი იყო ინფორმატიული და დანარჩენი - 23.5% ის აზრით, ტრენინგი იყო ნაწილობრივ ინფორმატიული. მონაწილეებზე გაიცა ორენოვანი სერტიფიკატები.

2023 წლის 19 აპრილს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ონლაინ ჩატარდა სტომატოლოგიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე „სტომატოლოგიური კლინიკის სახელმწიფო სტანდარტი და სტომატოლოგის ასისტენტის პროფესიული უნარები". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - შორენა ფერხულმა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პრაქტიკის ინსტრუქტორებმა. გაიცა 7 მონაწილისათვის სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 17 მაისს ჩატარდა ფარმაციის დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი, რომლის სახელწოდებაც იყო „სიახლეები ფარმაცევტულ დაწესებულებებში და ბენეფიტები მომხმარებელთან ურთიერთობისას“. ტრენინგი ჩაატარა დარგის მოწვეულმა სპეციალისტმა გვანცა კარელიძემ. ტრენინგს ესწრებოდა პროფესიული განათლების 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ტრენინგის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების რვავე მასწავლებელს დაეგზავნა Google forms ის ელექტრონული კითხვარი და ეთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. კითხვაზე, იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის, 87,5% დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 12,5% მა უპასუხა, რომ ტრენინგი იყო ნაწილობრივ ინფორმატიული. ტრენინგის მონაწილეებზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 29 მაისს ჩატარდა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა დარგობრივი ტრენინგი შემდეგ თემებზე: „პროფესიული დაავადებების

უსაფრთხოების მართვა, უსაფრთხო სისხლი (დონორობა) და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის სიახლეები“. ტრენინგი ჩაატარა დარგის მოწვეულმა სპეციალისტმა ნანა წულუკიძემ. ტრენინგს ესწრებოდნენ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები (8 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 4 პრაქტიკის ინსტრუქტორი). ტრენინგის დასრულების შემდეგ, თორმეტივე მონაწილეს დაეგზავნა Google forms ის ელექტრონული კითხვარი და ეთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. კითხვაზე, იყო თუ არა ტრენინგი ინფორმატიული მათთვის, 100% - მა დადებითი პასუხი გასცა. ტრენინგის მონაწილეებზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.

2023 წლის 8-16 ივნისს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა ვეტერინარიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე „ექოსკოპიის პრაქტიკული გამოყენება საქონლის რეპროდუქციისას". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - ამირან კოჩალიძემ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის 5-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. გაიცა ხუთივე მონაწილისათვის სახელობითი სერტიფიკატი.

2023 წლის 21-22 ივნისს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში“. ტრენინგი ჩაატარა ფსიქოლოგმა, მოწვეულმა ტრენერმა ანა ხუტიაშვილმა. ტრენინგს ესწრებოდა პროფესიული განათლების 10 მასწავლებელი და ასევე, ადმინისტრაციის 2 თანამშრომელი. ტრენინგის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილეს დაეგზავნა Google forms ის ელექტრონული კითხვარი და ეთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. კითხვაზე, დაეხმარება თუ არა მასწავლებლებს ჩატარებული ტრენინგი პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში 58,3% სრულიად დაეთანხმა, ხოლო 41,7% - ნაწილობრივ დაეთანხმა. ტრენინგის მონაწილეებზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატები.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის 07 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგების ციკლი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პრაქტიკის ინსტრუქტორებისათვის. ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული ტრენერი - თამარ რემიშვილი. ტრენინგი შედგებოდა 3 სესიისაგან, აქედან 2 იყო ONLINE ფორმატში, ხოლო მე-3, დასკვნითი ნაწილი ჩატარდა კოლეჯში, რომლის დასრულების შემდეგაც მოწვეულმა ტრენერმა და კოლეჯის დირექტორმა მონაწილეებს სახელობითი სერტიფიკატები გადასცეს და წარმატება უსურვეს. ტრენინგში სულ მონაწილეობდა პრაქტიკის 8 ინსტრუქტორი, ადმინისტრაციის 2 თანამშრომელი და პროფესიული განათლების 26 მასწავლებელი.

2023 წლის 27-28 სექტემბერს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები“. ტრენინგი ჩაატარა მოწვეულმა ტრენერმა თამარ რემიშვილმა. ტრენინგს ესწრებოდა პროფესიული განათლების 19 მასწავლებელი. ტრენინგის დასრულების შემდეგ, ჩემს მიერ მოხდა მონაწილეებისაგან უკუკავშირის მიღება ელექტრონული კითხვარის მეშვეობით. ყველა მონაწილეს დაეგზავნა Google forms ის ელექტრონული კითხვარი და ეთხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება. კითხვაზე, იყო თუ არა მასწავლებლებს ჩატარებული ტრენინგი სასარგებლო, 94,7% სრულიად დაეთანხმა, ხოლო 5,3% - ნაწილობრივ დაეთანხმა. ტრენინგის მონაწილეებზე სერტიფიკატების გაცემის მიზნით, წარმოგიდგენთ სახელობით სიას და ელ. გამოკითხვის შედეგს.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის 10 ოქტომბერს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ფსიქოლოგმა - მაია ჩადუნელმა ჩაატარა ონლაინ ტრენინგი კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, სადაც დეტალურად ისაუბრა თუ როგორ უნდა შევქმნათ პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში.

2023 წლის 30 ოქტომბერს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა კომპანია „როქსის“ მიერ ორგანიზებული საინფორმაციო სემინარი ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულებისათვის. სემინარი შეეხო შემდეგ საკითხებს: გლობალური დათბობის გავლენა მეცხოველეობაზე, კლიმატური ცვლილებების გავლენა წველადობასა და პროდუქტიულობაზე, მათი გადაჭრის გზები, ახალშობილი ხბოს გამოზრდა და რეკომენდაციები კლიმატთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე, ცურის მოვლა და რძის ჰიგიენის გაუმჯობესება გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით.

სემინარს უძღვებოდა აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, ვეტერინარი ბ-ნი დავით ბოსტაშვილი. სემინარის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სახელობითი სერთიფიკატები და საინფორმაციო მასალები.

2023 წლის 02 ნოემბერს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა 4 საათიანი ტრენინგი საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ექთნებისათვის "დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში" და "ფარმაკოლოგიის ბაზისური პრინციპების განმარტება". ტრენინგი ჩაატარა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა მარიამ ჯოხაძემ. ტრენინგი გაიარა 24 მა ინსტრუქტორმა და პარტნიორი ორგანიზაციის 26 მა თანამშრომელმა. გაიცა ორენოვანი სახელობითი სერტიფიკატები.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" ფარგლებში, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის Land O’Lakes Venture37 მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ხელოვნური განაყოფიერების შესახებ დარგის სპეციალისტებისათვის „საქონლის ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკა სქესდიფერენცირებული სპერმის გამოყენებით“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გურამ ხოდელმა და ილია მთვარელიძემ. აღნიშნულ ტრეინინგზე მათ მიიღეს ინფორმაციას მერძეული საქონლის რეპროდუქციულ ციკლზე, საქონლის ახურებისთვის მნიშვნელოვან ჰორმონებზე, ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკასა და სქესირებული სპერმის გამოყენებაზე. ტრეინინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ დასწრების სერტიფიკატები.

2023 წლის 17 ოქტომბრიდან 09 ნოემბრის ჩათვლით კოლეჯის ბაზაზე მიმდინარეობდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტირი გამოყენება და როლი სწავლების პროცესში“, კერძოდ ელ. ჟურნალის ადმინისტრირება. ჩატარდა სულ 8 ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა ამავე კოლეჯის ინფორმაციული წიგნიერების პროფესიული განათლების მასწავლებელი იამზე გოჩაშვილი. ტრენინგების ციკლის დასრულების შემდეგ, ტრენინგში მონაწილე 24 ვე პროფესიული განათლების მასწავლებელს დაეგზავნა 4 კითხვისაგან შემდგარი ელექტრონული კითხვარი. პირველი კითხვიდან ირკვევა, რომ 20.8% დაესწრო 8 ტრენინგიდან 1-2-ს, 25% დაესწრო - 3-4 ტრენინგს, 41.7% დაესწრო 5-6-ს, ხოლო 12.5% დაესწრო 7-8

ტრენინგს. მეორე კითხვაზე 24 ვე მასწავლებელმა უპასუხა, რომ, ტრენინგი ელ. ჟურნალის წარმოებაზე იყო საინტერესო და დროული. ასევე, მოწონება დაიმსახურა ტრენერმა, მონაწილეების 100 %მა თქვა რომ ტრენერი იყო კონსტრუქციული და მათთვის გასაგებ ენაზე ხსნიდა მასალას. მე-4 კითხვაზე, შეძლებენ თუ არა დატრენინგებული მასწავლებლები დამოუკიდებლად ელ. ჟურნალის წარმოებას, გამოკითხულთა 95.8% ამბობს, რომ შეძლებენ, ხოლო 4.2% (1 მონაწილე) -ს გაუჭირდება ახალი სასწავლო წლიდან ელ. ჟურნალის დამოუკიდებლად წარმოება. ტრენინგის ყველა მონაწილეზე გაიცა სახელობითი სერტიფიკატი.

წელიწადში 2 - ჯერ, 2023 წლის 12-19 ივნისს და 20-25 დეკემბერს ჩატარდა როგორც ადმინისტრაციული პერსონალის ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა ადმინისტრაციულ საკითხებში. ორივე შემთხვევაში კვლევის ანგარიშები ეცნობა კოლეჯის დირექტორს.

2023 წლის 25-26 დეკემბერს განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) ყოველწლიური საქმიანობის შეფასება.

2023 წელს განთავისუფლდა პროფესიული განათლების 2 მასწავლებელი და ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი.

2023 წელს დაინიშნა პროფესიული განათლების 2 მასწავლებელი და ადმინისტრაციის 7 თანამშრომელი.

2023 წლის მიღების დასრულების შემდეგ განხორციელდა ამავე მიღების სტატისტიკა და მონაცემები წარედგინა დირექტორს.

2023 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის შეიქმნა დომენური ელ. ფოსტები და მოხდა მათთვის გადაცემა, რაც პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს ხელმოწერით.

2023 წელს ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) მუდმივმოქმედი შესარჩევი კომისიის 7 სხდომა და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პრაქტიკის ინსტრუქტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დადგენის მიზნით 2020 წლის 9 ოქტომბრის N00002089 ბრძანებით შექმნილი კომისიის 12 სხდომა.

4. სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტულ სერვისებს. სტუდენტური რესვისები უზრუნველყოფილი იყო მთელი წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, რისთვისაც კოლეჯში შექმნილია სარგებლობის წესები, რომლითაც პროფესიული სტუდენტებისთვის გარანტირებულია ისარგებლონ კოლეჯის სასწავლო რესურსით სარგებლობის საშუალებებით. ჩატარდა არაერთი აქტივობა სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნენ სასწავლო პროცესისთვის სავალდებულო წესებს, უსაფრთხოების წესებს და საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. მყარდებოდა მჭიდრო კავშირი პროფესიულ სტუდენტებთან მეილების, სოც. ქსელებისა და სატელეფონო კავშირების საშუალებით, ინფორმაციის მიწოდების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით. ხდებოდა პროფესიული სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა იურისტთან ერთად, სწავლის შედეგის შეფასების სისტემის მარეგულირებლის წესის გაცნობის მიზნით. სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოხდა პროფესიული სტუდენტების წარდგენა პრაქტიკის ობიექტზე. სასწავლო გეგმის

შესაბამისად ხდებოდა მოდულების დაწყება დამთავრების კონტროლი. სასწავლო გეგმების შესაბამისად მიმდინარეობდა შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკური ვალიდაცია. კონტროლდებოდა მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მდგომარეობა, მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო პროცესის მენეჯერი მჭიდრო კავშირსამყარებდა კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტურ თვითმმართველობასთან და ერთობლივად არაერთი ღონისძიების განხორციელება მოხერხდა. ჩატარდა შემეცნებითი ექსკურსია. პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა არაერთი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიება. კოლეჯმა გაიმარჯვა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 26 დეკემბრის N1653889 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების კვლევის, სტუდენტური სერვისებისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის (პროგრამული კოდი 32 03 02 02) ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში და განახორციელა ,,ციფრული ბანაკის“ პროექტი. პროექტში მონაწილეობა მიიღეს პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგები. ტრენინგის შემდეგ პროფესიული სტუდენტების მიერ ჩატარდა არაერთი აქტივობა, კოლეჯში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. ჩატარდა საახალწლო ღონისძიება, სადაც ასევე მოხდა დიპლომების გადაცემა. ჩატარდა სპორტული ღონისძიება სადაც ჩვენი კოლეჯია პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „განთიადის“ პროფესიულმა სტუდენტებმა. ჩატარდა პოეზიის საღამო, კულტურული და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიება.

5. დოკუმენტებზე მუშაობა

დოკუმენტბრუნვაზე სამუშაოები მიმართული იყო კოლეჯში შემოსული და კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის დროული განხილვის, განაწილების, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადებში მათი გაფორმებისა და შესრულების რეგულირების მენეჯმენტის სრულყოფისაკენ, რაც თავის მხრივ, კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლების გამართული მუშაობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

2023 წელს კოლეჯში ჩაირიცხა 112 პროფესიული სტუდენტი: აქედან,

1. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-28 პროფესიული სტუდენტი (ბრძანება N00012813 - 26.10.2023 წელი და ბრძანება N00014461 – 14.11.2023 წელი);
2. ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-44 პროფესიული სტუდენტი (ბრძანება N 00012806- 26.10.2023 წელი);
3. ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-21 პროფესიული სტუდენტი (ბრძანება N 0012814 -26.10.2023წელი და ბრძანება N00014463 - 14.11.2023 წელი);
4. დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი)-19 პროფესიული სტუდენტი. (N00012823-26.10.2023 წელი).

პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 19 პროფესიულ სტუდენტს (ბრძანება N00005151-25.05.2023 წელი, ბრძანება N00005382-02.06.2023 წელი ბრძანება N00014546-15.11.2023 წელი; ბრძანება N00008037-08.08.2023 წელი; ბრძანება N00008394-25.08.2022წელი; ბრძანება N00008038-08.08.2022 წელი).

სტუდენტის სტატუსი შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე 1 პროფესიულ სტუდენტს (ბრძანება N00015061-24.11.2023 წელი).

პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღუდგა 2 პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაN00001364-14.02.2023 წელი და ბრძანებაN00013905-08.11.2023 წელი).

2023 წელს კოლეჯში მობილობით გადმოვიდა 2 პროფესიული სტუდენტი (ბრძანება N00006435-02.07.2023 წელი და ბრძანება N00009655-27.09.2023 წელი).

მოხდა ახლადმიღებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების სრულყოფა და დაიდო მათთან ხელშეკრულებები, დაინომრა და გატარდა რეგისტრაციაში.

წლის განმავლობაში მომზადდა და გაიცა პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის შესაბამისი ცნობები.

მომზადდა თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლებისათვის შესაბამისი ბრძანების პროექტები.

წლის განმავლობაში აღირიცხა შემოსული და გასული კორესპოდენცია. მოხდა წლიური ბრძანებების რეესტრის წარმოება.

ხდებოდა შემოსული და გასული კორესპონდენციის ადრესატისათვის გადაცემას და მათ შესარულებაზე კონტროლს.

2023 წელს მოხდა ელექტრონულ სისტემაზე- ე თანამშრომლის eflow_ზ დამატება. აღნიშნულის გამო მოხდა შესაბამისი სწავლების განხორციელება, მითითებების მიცემა და გადამზადება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eflow-ში.

6. სხვადასხვა აქტივობა

წლის განმავლობაში ეფექტურად ხდებოდა გაწერილი წლიური ბიუჯეტის შესრულება. შედეგად კოლეჯში ინფრასტრუქტურის ნაწილში განახლდა აუდიტორიები და დაემატა საჭირო ინვენტარი/მასალები. ასევე წინასწარ გაიწერა და დაიგეგმა მომავალი წლისთვის დასამატებელი ნივთები.

„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცებაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 16 თებრვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამის ვადებში მოახდინა კოლეჯის ბალანსზე არსებული, ძირითადი აქტივების დამატერიალური ფასეულობების დალუქვა, ეტაპობრივად გაიხსნა კომისიის მიერ სრულად მოხდა სასწავლო ოთახებში, კაბინეტებში, სათავსოებში, მატერიალური ფასეულობების აღწერა, გაიმართა კომისიის სხდომა, შედეგების დამტკიცების შესახებ.

IT მენეჯერის მიერ შეფასდა კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის და ტექნიკური საშუალებები, მიმდინარე საჭიროებები. კოლეჯში შეძენილ იქნა განვითარების გეგმის შესაბამისად კომპიუტერული ტექნიკა და ასევე მოეწყო ნასი (სერვერი). გამოვლინდა ინტერნეტის მიწოდების (ძირითადად არასაკაბელო) ხარვეზები და დაისახა თანმიმდევრული გეგმა ხარვეზების აღმოფხვრისთვის. მოხდა კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერების ოპერაციული სისტემით უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებზე საკაბელო ინტერნეტის ქსელის

გაუმართობის გასწორება. მოხდა უკაბელო ინტერნეტის რამდენიმე ჰაბის გადანაცვლება, რათა გაგვეზარდა დაფარვის ფართობი. ამ პერიოდში იყო ინტერნეტის მიწოდების ხარვეზი. ჩავატარეთ ინტერნეტ ქსელის სრული მონიტორინგი.

ბიბლიოთეკაში მივიღეთ 45 ახალი წიგნი, რომელიც გატარებულია ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში. საბიბლიოთეკო ფონდი სისტემურად ივსებოდა და ახლებოდა წლის განმავლობაში. დაინტერესებულ პირებს: სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეფექტურად ემსახურებოდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკიდან გაიცა 212 წიგნი პროფესიულ სტუდეტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. პროფესიულ სტუდენტებს ვეხმარებოდით სასწავლო რესურსის ასლის გადაღებასა და ამობეჭვდაში. ყველა პროგრამის ელ. წიგნები მოდულების შესაბამისად ატვირთულია „classroom-ში“. პროფესიულ სტუდენტებს გავაცანით საბიბლოთეკო რესურსები და მათი სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში მომხმარებლისათვის სრულყოფილი მომსახურების გასაწევად ზედამხედველობდი სპეციალურ სამკითხველო დარბაზს.

პერსონალის წახალისების მიზნით მოეწყო ექსკურსია რომელიც ასევე მოიცავდა სხვა კოლეჯის გამოცდილების გაზიარების მიზნით მათთან ვიზიტს.

PR-ის მიმართულებით კოლეჯის შემდგომი PR კამპანიის წარმართვისთვის კოლეჯის შეცვლილი ლოგოს საფუძველზე შეიქმნა ახალი ბანერები და სტიკერები. კოლეჯის ტერიტორიაზე ძველი ლოგოთი არსებული ბანერები და სტიკერები ჩანაცვლდა ახლით. ადმინისტრაციის ხელმძღავენლის მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნა ახალი სტიკერები (უსაფრთხოების მანიშნებლები) ასევე კოლეჯშის ინტერიერის განახლების მიზნით და გაკვეთილების ცხრილის კუთხის გასაახლებლად შექიმნა ცხრილის მანიშნებლები პროგრამების მიხედვით და ლოგოს ბანერი ვიზუალისთვის. განხორციელდა სხვადასხვა დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრა, რომელიც გაიმართა კოლეჯში ამაგი და ასევე პოტენციური დამსაქმებლების ტერიტორიაზე. მათ შორის საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრს, ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებასა და ქ. გორის შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგი“-ს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგი სადაც მონაწილეობა მიიღეს კურსადმთავრებულებმა და აქტიური პროფესიულ სტუდენტებმა (საექთნო განათლება), შემდგომში დასაქმების პერსპექტივით.

დასაქმების კუთხით ხდება სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრა, ასევე სისტემატიურად ხორციელდება ფეისბუქ ჯგუფებში დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსება, კერძოდ აქტიური ვაკანსიების გაზიარება პროფესიული ოროგრამების მიხედვით.

კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდება არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebook გვერდზე.

რეგიონის მაშტაბით დამსაქმებლების მოძიება და შეხვედრის უზრუნველყოფის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) ხელმძღვანელთან ერთად ორგანიზებით კოლეჯში ამაგი გაიმართა პროფესიული სტუდენტების შეხვედრა პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლებთან.

განხორციელდა შიდა ქართლის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების უფროსკლასელების გაცნობითი ხასიათის ვიზიტები კოლეჯში ამაგი.

კოლეჯის შემდგომი PR კამპანიის წარმართვისთვის, დამზადდა ბრენდირებული ჩანთები რომელსაც ვიყენებთ სხვადასხვა აქტივობებისთვის, მათ შორის ბუკლეტების დარიგების დროს.

ჩატარდა სხვადასხვა კოლეჯებთან ერთად სტუდენტური აქტივობები, მათ შორის სპორტული შეჯიბრი.

განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია სხვადასხვა არხების გამოყენებით. მათ შორის: გაიგზავნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინფორმაცია ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (სმს) და მოვიცავით სრულად გორის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 106,500 აბონენტი. ასევე სრულად ქარელის, ხაშურის, კასპის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 90,142 აბონენტი.

სოციალურ ქსელში, კერძოდ კოლეჯი ამაგის "Facebook" და „Instagram“ გვერდზე მოხდა პროგრამების ცალკეულად რეკლამირება. (ფასიანი რეკლამების გაშვება)

გაიმართა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება.

კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდებოდა არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebook გვერდზე.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშს რაც შეეხება პროფესიული სტუდენტების ვაუჩერით დაფინანსებამ შეადგინა 894230 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 41470 ლარი, სულ 2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 935700 ლარი. აღნიშნული შემოსავლიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინსტრაციის დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 570356 ლარი, საპენსიო ფონდში გადარიცხული იყო 5462 ლარი, მივლინების ხარჯმა შეადგინა 360 ლარი. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაზე 2023 წლის მანძილზე ხრლშეკრულებების საფუძველზე გადირიცხა 24502 ლარი. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა: 15097 ლარი (შეძენილია კომპიუტერები, ტელევიზორი, პროექტორი, პრინტერი, კონდენციონერები, ხმის გამაძლიერებელი, შეიცვალა განათება), ასევე შეძენილია ფარდა-ჟალუზები 930 ლარი, მოდულური პროგრამებისათვის მასალა-ნედლეულის შესაძენად 4221ლარი, მოდულური პროგრამების აღჭურვილობის შსაძენად გაიხარჯა 3004 ლარი, შეძენილია წიგნები 495ლარი. პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის ტრენინგების ხარჯი იყო 8725 ლარი. კულტურულ, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 3884 ლარი, სტუდენტური თვითმმართველობის ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 2071ლარი, საკანცელარიო ნივთების შესაძენად გაიხარჯა 14270 ლარი, კერძო კოლეჯების ასოციაციაში გადარიცხული საწევრო 650 ლარი, რეკლამის ხარჯმა შეადგინა 2541 ლარი. 2023 წლის იჯარის ხარჯი იყო 172000 ლარი. 2023 წლის ინტერნეტის და საიტის, eflu ხარჯი 5292 ლარი. კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების სერთიფიკატების დამზადების ხარჯმა შეადგინა 5361 ლარი, საოფისე ინვენტარის მოვლაშენახვის და ჰიგიენის საშუალებების ხარჯი 7257ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯი 2023წლის იყო 2110 ლარი, სარემონტო სამუშაოებისათვის გაიხარჯა 12775 ლარი. ავტორიზაციის სტატუტის მოპოვებისთვის ხარჯმა შეადგინა 15806 ლარი, ხოლო სხვადასხვა ხარჯი 14738 ლარი. სულ ხარჯებმა შეადგინა 891907 ლარი.

შრომის უსაფრთხოების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კოლეჯში რისკები ფასდება არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ, ჩემს მიერ 2023 წელს რისკები შეფასდა 13 იანვარს, 1 მაისს და

3 ნოემბერს მოხდა რისკების შეფასება, გამოიკვეთა საფრთხეები რომლებიც შესასრულებლად დაევალა პასუხისმგებელ პირებს, კერძოდ; 13 იანვრის რისკების შეფასებაში გამოიკვეთა 2 რისკის შემცველი ფაქტორი, რომელიც გამოსწორდა 2023 წლის თებერვალში, 1 მაისის რისკების შეფასებაში გამოიკვეთა 4 რისკის შემცველი ფაქტორი რომლებიც მოითხოვენ სისტემატურ კონტროლს რაც მუდმივად მომდინარეობს კოლეჯის ადმინიცტრაციის მხრიდან. 3 ნოემბრის რისკების შეფასებაში გამოიკვეთა 8 რისკის შემცველი ფაქტორი რომელთაგან 5 ფაქტორი გამოსწორებულია ხოლო 3 მოითხოვს სისტემატურ მონიტორინგს რომელსაც მუდმივად ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინსტრუქტაჟები ტარდება არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ, 2023 წლის 1 აპრილს აინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 53 პროფესიულ მასწავლებელს და კოლეჯის ადმინისტრაციის 19 თანამშრომელს, 2023 წლის 1 ოქტომბერს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 51 პროფესიულ მასწავლებელს და კოლეჯის ადმინისტრაციის 20 თანამშრომელს, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან ინსტრუქტაჟი ჩატარდა კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ, 2023 წლის 24 აპრილს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 86 პროფესიულ სტუდენტს, 2023 წლის 15 ნოემბერს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 101 პროფესიულ სტუდენტს. ინსტრუქტაჟები აღირიცხა შესაბამის ჟურნალებში.

საქართველოს მთავრობის 590 დადგენილების შესაბამისად კოლეჯის საქმიანობიდან გამომდინარე შეირჩა პირადი დაცვის საშუალებები, კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან შეძენილ იქნა პირადი დაცვის საშუალებები და გამოიყო პირადი დაცვის სასუალებების გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირები.

კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა და ადმინისტრაციაამ შეიმუშავა და დაამტკიცა პროფესიული დაავადებების და უბედური შემთხვევების სრულად მოკვლევის და შესწავლის წესები.

კოლეჯში შემუშავდა და დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უსაფრთხოდ მიმდინარეობის გეგმები.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ითქვას რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2023 წლის საქმიანობა ჩაითვალოს დადებითად.

პატივისცემით,

დირექტორი ---------- რუსუდან სუხიშვილი